საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/61

ქ. ბათუმი 30 დეკემბერი, 2021 წელი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის" დებულების დამტკიცების თაობაზე ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის N04 გადაწყვეტილებაში დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 3 დეკემბრის №23-05/22 სხდომის ოქმის, ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 21 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათისა (№1432693) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის N04 გადაწყვეტილებაში შევიდეს დამატებები, კერძოდ, გადაწყვეტილების N1 დანართში (დებულებას) მე-13 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის **მე-13¹და მე-13² მუხლები:**

„მუხლი 13¹. ბავშვის უფლებათა ცენტრი

1. ბავშვის უფლებათა ცენტრი შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2021 წლის 25 მარტს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

2. ბავშვის უფლებათა ცენტრის მისიაა ბავშვებში დემოკრატიული ღირებულებების აღზრდისა და მათი საუკეთესო ინტერესების დაცვის ხელშეწყობა.

3. ბავშვის უფლებათა ცენტრის მიზნებია:

ა) ბავშვის უფლებებისა და ინკლუზიური განათლების შესახებ ცოდნის შექმნა, გაზიარება და ცნობიერების ამაღლება;

ბ) ბავშვის უფლებების დაცვის ინოვაციური პლატფორმისა და ქსელის შექმნა, საგანმანათლებლო დაწესებულებების, ჯანდაცვის, სამართალდამცავი სტრუქტურებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით;

გ) ბავშვის უფლებების მარეგულირებელი ეროვნული და საერთაშორისო აქტების განხორციელების ხელშეწყობა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭებაზე დაფუძნებული მიდგომებით.

4. ბავშვის უფლებათა ცენტრის ფუნქციებია:

ა) ბავშვის უფლებებისა და ინკლუზიური განათლების შესახებ სწავლების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

ბ) ბავშვებთან და ბავშვებისთვის მომუშავე პირებისთვის სწავლა/სწავლების საჭიროებათა ანალიზი;

გ) ბავშვის უფლებებისა და ინკლუზიური განათლების შესახებ სასწავლო და კვლევითი ხასიათის პროექტების განხორციელება, სასწავლო მასალების, მეთოდური სახელმძღვანელოების, გზამკვლევების, შემუშავება. დისკუსიების, თემატური სემინარების, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების გამართვა;

დ) განათლების მიმართულებით სატრენინგო პროგრამების მომზადება-განვითარება და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის განხორციელება, სათანადო სერტიფიკატების გაცემა;

ე) საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე შესაბამის საგანმანათლებლო ან/და სასწავლო დაწესებულებებთან, აკადემიურ წრეებთან, ასევე სხვა ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება;

ვ) ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

5. ცენტრის მუშაობას კოორდინირებას უწევს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც დეკანის წარდგინებით ნიშნავს რექტორი, სამი წლის ვადით.

6. ცენტრის ხელმძღვანელი წარმართავს ცენტრის საქმიანობას, მისი მიზნებისა და ფუნქციების შესაბამისად.

7. ცენტრის ხელმძღვანელი ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე, წარუდგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არგუმენტირებულ წინადადებას თანამშრომლების/ექსპერტების ხელშეკრულებით მოწვევის შესახებ.

8. ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოებთან, ყოველწლიურად შესრულებული სამუშაოს ანგარიშს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

მუხლი 13². ინოვაციების ლაბორატორია

1. ინოვაციების ლაბორატორია წარმოადგენს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის რესურსცენტრს, რომელიც შეიქმნა ერასმუს+ პროგრამის „საქართველოსა და უკრაინის უსდ-ების როლის გაძლიერება ინდუსტრიულ ტრანსფორმაციაში ინდუსტრიული პარადიგმა 4.0-ის მეშვეობით - HEIn4“ ფარგლებში.

2. ინოვაციური ლაბორატორიის მისიაა გააძლიეროს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტისა და ინდუსტრიის სექტორის თანამშრომლობა.

3. ლაბორატორიის მიზნებია:

ა) ხელი შეუწყოს ციფრულ ტრანსფორმაციას მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის საჭიროებების შესაბამისი სპეციალური კურსების, ტრენინგებისა და საკონსულტაციო სერვისების შეთავაზებით;

ბ) ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, შექმნას და დანერგოს ინოვაციური სასწავლო მოდულები და ტრენინგ კურსები ინდუსტრია 4.0 კონცეფციის მხარდასაჭერად;

4. ინოვაციების ლაბორატორიის ფუნქციებია:

ა) ინდუსტრია 4.0 კონცეფციის შესახებ არსებული ცოდნის გავრცელებისთვის ხელშეწყობა;

ბ) ინდუსტრია 4.0 კონცეფციის დანერგვის მიზნით სასწავლო და კვლევითი ხასიათის პროექტების განხორციელება, სასწავლო მასალების, მეთოდური სახელმძღვანელოების, გზამკვლევების, შემუშავება;

გ) ბიზნესისა და ეკონომიკის სექტორში ინოვაციური მიდგომების დანერგვის, კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, სატრენინგო პროგრამების მომზადება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის, მათი განხორციელება და სათანადო სერტიფიკატების გაცემა;

დ) ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებთან ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარება, მათი ინტერესების შესწავლა, შესაბამისი ინოვაციური პროექტების შემუშავება და სტუდენტების ჩართვა პროექტების განხორციელებაში;

ე) ლაბორატორიის მიზნებიდან გამომდინარე სხვა ფუნქციების განხორციელება.

5. ინოვაციური ლაბორატორიის მუშაობას კოორდინირებას უწევს ლაბორატორიის ხელმძღვანელი, რომელსაც დეკანის წარდგინებით ნიშნავს რექტორი, სამი წლის ვადით.

6. ლაბორატორიის ხელმძღვანელი წარმართავს ლაბორატორიის საქმიანობას, მისი მიზნებისა და ფუნქციების შესაბამისად;

7. ლაბორატორიის ხელმძღვანელი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგენს არგუმენტირებულ წინადადებას თანამშრომლების/ექსპერტების ხელშეკრულებით მოწვევის შესახებ;

8. ლაბორატორიის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოებთან, ყოველწლიურად შესრულებული სამუშაოს ანგარიშს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.“.

2. წინამდებარე გადაწყვეტილებით შეტანილი დამატებების გათვალისწინებით ფაკულტეტის კოდიფიცირებული/კონსოლიდირებული დებულების მომზადება დაევალოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს.
3. წინამდებარე გადაწყვეტილების და ფაკულტეტის კოდიფიცირებული/კონსოლიდირებული დებულების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, შესაბამის ფაკულტეტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**